

ცისფარი, თეთრი და სუფთა BLUE, WHITE AND CLEAN

ბავშობაში არც ისე ხშირად მიწვედა იქ მანქანით გავლა და ყოველთვის მქონდა შეგრძნება, რომ ჩვეულებრივი ქართული სოფლის – მაღაროს შუაგულში, ერთი უზარმაზარი წითელი აგურის სახლის შემდეგ უეცრად სხვა სამყარო იწყებოდა, სადაც ქერა გოგო-ბიჭები დატანტალებდნენ ფეხშიშველები, გზას თეთრი ბატების გუნდები კვეთდნენ ყიყინით და ქალებს მხრებზე გადაებულ „დორომისლაზე“ დაკიდებული „ვედროებით“ მოჰქონდათ წყალი. ეს სამყარო არც ისე დიდხანს გრძელდებოდა – გაივლიდი თუ არა გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ, ალიზის რუსული სახლების რიგს, ნაწვეტებული სამკუთხა სახურავებითა და ხის აივნებით, მაშინვე ისევ ჩვეულ გარემოში აღმოჩნდებოდი, ისევ მაღაროში. თუმცა ეს რამდენიმე წუთიც საკმარისი იყო, რომ უცებ ამოვარდნილიყავი სივრცეში და დროში განფენილი ქართული რეალობიდან, თვალით გენახა ერთი ძველი რუსული სოფელი და ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ უცნაური შეგრძნებებითა და ცნობისმოყვარეობით სავსე „სამშობლოში“ დაბრუნებულიყავი. ამ ისედაც უცხო სინამდვილეს თითქოს აღარც სჭირდებოდა პატარა ტრაფარეტი, იმ დიდი წითელი აგურის სახლის

It did not happen too often back in my childhood that I passed through that place in a car, and I always had the feeling that beyond a certain huge red-brick house, in the middle of an average Georgian village called Magharo, a different world began all of a sudden, where blonde boys and girls walked around barefoot; cackling flocks of white geese crossed dirt roads; and women carried water in buckets hanging on "koromislas" placed over their shoulders. This world did not last too long: as soon as you had passed rows of mud-brick Russian houses lined up on either side, with pointed triangular roofs and wooden balconies, you found yourself back in a usual environment, in Magharo. Yet, even those few minutes were enough to throw you out Georgian reality spread in space and time, make you see with your own eyes one old Russian village, and fill you up with odd feelings and curiosity and have you "return to your motherland" after a brief trip. This already peculiar reality did not seem to



გვერდით რომ იყო ჩარჭობილი, მიმანიშნებელი წარწერით. ისედაც ნათელი იყო, სად იწყებოდა და მთავრდებოდა სოფელი ულიანოვკა.

ეს უფრო ადრეული ბავშვობის შთაბეჭდილებებია. მას შემდეგ ულიანოვკაში რამდენჯერმე მოვხვდი, გავლით კი არა, საგანგებოდ ჩავედი:

ერთი, ოდნავ მოგვიანებით, როცა ჩვენმა რუსულის მასწავლებელმა, რომელიც თვითონ ბერძენი იყო და გათხოვილი ულიანოვკის საშუალო სკოლის დირექტორზე, ვასილ ლოსკუტოვზე (რათქმა უნდა, მეუღლის ნათესავთა ნების სანინალმდეგოდ – მალაკნებს ეკრძალებათ სხვა სარწმუნოების ადამიანზე ქორწინება), სითამამე გამოიჩინა და დამამთავრებელი კლასი ულიანოვკაში საახალწლო კარნავალზე წაგვიყვანა. რას არ ეცადა სანყალი, რომ საერთო ცეკვაში მაინც ჩავბმულიყავით, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი გამოუვიდა, საბოლოო ჯამში „ისინი“ თავისთვის ერთობოდნენ, „ჩვენ“ – ჩვენთვის.

მეორედ, 2003 წელს, როცა ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ქალთა პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი „მოლოკნები – ქალთა ზეპირი ისტორიები“ უნდა განმეხორციელებინა.

და ახლა, როცა პროექტისთვის „ეთნიკური მრავალფეროვნების ზეიმი კახეთში“ აღდგომის დღესასწაულის ვიდეო და ფოტომასალა უნდა გადამეღო.

ულიანოვკაში ვნების კვირეულის პარასკევს მივედი, ჩვენებურად წითელ პარასკევს. სოფლის ერთიანი იერი, რომელსაც განსაზღვრული დისტანციით აშენებული სახლების სითეთრე ქმნიდა, გვარიანად იყო შელახული 2003 წელთან შედარებითაც კი. ქართველი, ახალი პატრონების მიერ „ბლოკით“ გადაკეთებული ან მიტოვებული, ნახევრად ჩამონგრეული შენობების ამოღამებულ სივრცეებს თვალშისაცემად ბევრი ნაცრისფერი შეეტანა. აღარც რუსულ „პეჩკებში“ გამომცხვარი პასკების უგემრიელესი სურნელი იგრძნობოდა, ამ დღით თითქმის ყველა

need that small signpole with information on it, driven into the ground next to the huge red-brick house. It was clear anyway where the village of Ulianovka began and where it ended.

Those were more of my early childhood memories. I happened to have been to Ulianovka several times since that; not just passing through, but purposefully visiting there:

The first time was a bit later when our teacher of Russian who was a Greek herself and was married to Vasil Loskutov, the Principal of the Ulianovka High School (needless to say, against the will of the spouse's relatives: Molokans are prohibited to marry representatives of other confessions), displayed courage and took us to Ulianovka to a New Year's Eve carnival during our final year in school. Poor soul, she tried everything to have us join group dance at least, yet, she did not succeed much: in the end, "they" were having fun on their own and "we on our own."

The second time was in 2003 when I was supposed to implement the project *Molokans – Women's Oral Histories* sponsored by the *Women's Program* of the *Open Society – Georgia* foundation.

And now when I was supposed to shot video and photo materials on the Easter festivities for the project *Celebrating Ethnic Diversity in Kakheti*.

I arrived in Ulianovka on Friday of the Passion Week, what we call the Red Friday. The monotonous appearance of the village created by the whiteness of the houses built in a certain distance from one another had been tremen-



32. სადაცაა ატურია უნდა მოიზილოს
That's where we knead our noodle dough





სახლიდან რომ გამოდიოდა და მთელ სოფელს ეფინებოდა ხოლმე. გაფაციცებული დავეძებდი, ვისთან შეიძლებოდა ეს რიტუალური ცხოზა გადამელო. ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ხანშიშესული მოლოკანი ქალები ერთმანეთთან მაგზავნიდნენ, მე აღარ შემიძლია, იქნებ ის აცხოზდესო. ერთი ვინც ნამდვილად იცოდნენ, რომ აცხოზდა, შედარებით ახლგაზრდა ტანია ხამუტოვა იყო. მან კი სასტიკი უარი განაცხადა გადაღებაზე. ეს მე მათთვის დამახასიათებელი ჩაკეტილობით ავხსენი, ამის მეტი რა გამომეცადა 2003-ში მუშაობის დროს. მაგრამ ნამდვილ მიზეზს მერე მივხვდი. მოლოკენები პასკების სანაცვლოდ ფულის აღებას უპატიებელ ცოდვად თვლიან, ქრისტეს სხეულის გაყიდვად მიიჩნევენ. ტანია კი აცხოზდა და ყიდდა. უკვე მოსალამოვებულზე გადასაღებად ძლივს მივუხსნარი კიდევ ერთ ახლგაზრდა ქალს, რომელიც ღუმელიდან უკვე ალაგებდა დაბრონლებულ პასკებს, ფუმფულა „პეროგებს“ და შეგრილებულებს ქათქათა სუფრაში ახვევდა საკვირაოდ, მხოლოდ ოჯახისთვის და სამლოცველო სახლისთვის. „უცოდველი“ იყო და თამამად მეპატიუებოდა, გადაიღე, ფირზე მაინც დარჩესო რადგან სახლიც გაყიდული ჰქონდა, მთავარი ბარგიც შეკრული. იმ დღეებში

dously distorted, even in comparison with 2003. Blackened spaces in the abandoned, half-ruined buildings or those remodeled with concrete blocks by their new, Georgian owners had brought a lot of striking grey into the picture. Neither could one smell the most delicious aroma of paschal cakes baked in Russian *pechkas*: stoves; the aroma that used to issue forth from every house and spread throughout the entire village on that day. I searched thoroughly hoping to find a house where I could tape the baking. Already a handful of elderly women kept referring me to one another and saying, *I'm not able anymore, maybe she's baking*. One person they all agreed upon that she baked turned out to be relatively young Tanya Khamutova. Yet, she absolutely refused to participate in videotaping. I blamed that on their traditional reticence, I had had enough of that while working there in 2003. I realized the true reason later, though. Molokans consider it a deadly sin to sell paschal cakes for profit; they equal it to selling the Body of Christ. As for Tanya, she baked and sold... It was already dark when I barely made it for shooting to yet another young woman's



33-34. წიგნის პარსკევი ულიანოვკაში
The Holy Friday in Ulianovka

who was already pulling crispy paschal cakes, fluffy *pirogis*: pies out of the stove, and after letting them cool off, wrapped them in a snow-white cloth for Sunday, while setting aside some for her family and the prayer house. She was "blameless" and boldly invited me, *Here, have some, let this remain on tape at least*. She had sold her house and tied a lot of luggage together. She was about to leave for Russia soon.

The Passion Week is the toughest week for Molokans, and it is so not from a religious point of view only. During these days, they used to scrub and polish everything thoroughly. They used to whitewash the walls, painted the balconies blue, clean up the yards. Everything had to be extremely clean both indoors and outdoors. Now, that kind of fuss was no longer present there. The young who fulfilled heavy duty were almost all gone, and all that the elderly could do was wash curtains and bedding with water that they had labored so much





რუსეთში მიდიოდა საცხოვრებლად.

ვენების კვირა მოლოკნებისთვის უმძიმესი კვირაა, არამარტო რელიგიური თვალსაზრისით. ადრე ამ დღეებში ძირის ძირობამდე ხეხავდნენ და აკრიალებდნენ ყველაფერს. ათეორებდნენ კედლებს, ცისფრად ღებავდნენ აივნებს, ასუფთავებდნენ ეზოებს. ყველაფერი უკიდურესად სუფთა უნდა ყოფილიყო შინ და გარეთ. ახლა ეს ფუსფუსი აღარ შეიმჩნეოდა. ახალგაზრდები, ვინც მძიმე სამუშაოებს ასრულებდნენ, თითქმის აღარ არიან, მოხუცები კი წყაროდან ვაი შავი დლით მიტანილი წყლით მეტი-მეტი ფარდებს და ლოგინის თეთრეულს თუ დარეცხავენ, ახლიდან გადააკრავენ ბალიშისპირებს ბატის ბუმბულის ფუმფულა ბალიშებს და რიტუალურად გასწორებულ ლოგინზე კოხტად ააკოკოლავებენ, გაახამებენ ქათქათა წინსაფრებსა და თავსახურებს სადღესასწაულო ლოცვებისთვის.

სისუფთავე მოლოკნებისთვის მარტო საადდგომოდ არ არის აუცილებელი მოთხოვნა. მისდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება ზოგადად მათი გამორჩეული თვისებაა. შეიძლება ამიტომაც ანიჭებენ უპირატესობას ლაჟვარდოვანსა და თეთრს ყველგან და ყველაფერში, მათთვის ეს ზეციური სინმინდისა და სისპეტაკის ფერებია. სწორედ ამ ფერებთან ასოცირდება სექტის სახელწოდებაც, რომელიც, სხვა ვერსიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულის თანახმად, იმის გამო დაერქვათ, რომ აღმსარებლები მარხვის დროს რძეს სვამდნენ. მოლოკნებმაც სახელი სიამოვნებით გაითავისეს, რადგან მათი გაგებით სექტის მოძღვრება ის „სიტყვიერი რძეა“, რაც საღვთო წერილშია მოცემული. რძისფერი სხვადასხვა ტონალობის ცისფერთან ერთად, ძირითადია სამლოცველო სახლისთვისაც, სადაც არც ხატებია, არც სანთელი (ხატებს არ ეთაყვანებიან, სანთელს არ ანთებენ და პირველად არ იწერენ) არც სხვა რაიმე მორ-



თულობა. მთავარ ოთახში მხოლოდ ცისფერი კედლები, თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდა და გრძელი ხის სკამებია. გვერდზე, მოზრდილ სამზარეულოშიც ყველაფერი რის შედეგადაც შეიძლებოდა, ცისფრადაა შეღებილი: კედლები, ჭერამდე ასული ხის კარადა და ორი დიდი ლუმელიც – ერთი ჩვეულებრივი რუსული, მეორე უფრო დაბალი, თითქოს ნახევრად გადაჭრილი, ზემოდან ჩაშენებული ოთხი უზარმაზარი ქვაბით. მათგან მხოლოდ ერთილა პრიალებს, დანარჩენებს ძირზე ჟანგი გასჩენია, ორი უფრო კარგა ხნის ჩაშავებულია და თავისი ფერებით ამკარად ველარ ერწყმის საერთო ტონალობას. შაბათს არც ის ერთი პრიალა ქვაბი გამოუყენებიათ, წყალი სამოვარით გააცხელეს და ლაფშისთვის/ატრიასთვის ცომი მოზილეს. ყველაფერი: ვინ სად უნდა დაჯდარიყო, რა და რა დროს უნდა ეკეთებინა, თავისი წინასწარგანსაზღვრული წესით ხდებოდა. „წონია“ გალიასა და ნასტიას ცომის მოზელა ცოტა კი უჭირდათ (ასაკის გამო), მაგრამ ეს „მათი საქმე“ იყო, მათ უნდა ეკეთებინათ. მაგიდასთან მსხდარ ცომის გამბრტყელებლებს, რომელთაც წინ სიგრძეზე ჩამწკრივებული ხის ჯოხები ეწყობ, დახმარება არც კი შეუთავაზებიათ. ისინი თავიანთ საქმეს ელოდებოდნენ და იმიტომ. ცოტა შეგვიანებულ „წონ“ ნადიასაც არ უკითხავს არაფერი, შემოვიდა თუ არა, წინსაფარი აიფარა და უსიტყვოდ დაიკავა ადგილი ჯოხიანი ქალების მაგიდის თავში. ცოტა ხანში მართლაც დადგა მათი დრო და ცომის მოზელით თითქოს მძიმედ დაძრული კარუსელის ტრიალი გაძლიერდა, გაძლიერდა, თავთავისი საქმიანობით ჩაითრია ირგვლივ ყველა და კულმინაციას მიაღწია: ზოგი ცომის გუნდას ამზადებდა, ზოგი აბრტყელებდა, ზოგი გრძელ ჯოხებზე

to bring up from the spring, change cases over fluffy goose down pillows and cozy them up on ritualistically made up beds, starch spotless aprons and headscarves for festal prayers.

Cleanliness is not mandatory for Molokans on Easter alone. Special attitude toward it is one of their distinguishing features. That is probably why they prefer azure and white everywhere and in everything, to them these are the colors of divine sanctity and purity. It is precisely these colors that the name of the sect is associated with which, according to one of the most widespread versions, they acquired because its followers drank milk during the lent. Molokans accepted the name with pleasure because they considered the teaching of the sect to be the "verbal milk" provided in the Scripture. Milky in combination with various

tints of blue is the basic color in the prayer house as well, where they have neither icons (they do not venerate icons, light candles or cross themselves) nor candles nor any kind of adornment. There are only blue walls, a table with a white tablecloth over it, and long wooden benches in the main hall. Next door, in a sizeable kitchen, everything that could be painted is painted blue: walls, a ceiling-high wooden cupboard and two massive stoves: one is common Russian and the other lower, as if cut in half, with four humungous vats built in it. Only one of them is shiny, the rest are rusted at the bottom, two have been neglected for quite some time and their colors obviously do not go in sync with the general palette. They did not use that single shiny vat on Saturday either; they heated up water in a *samovar* and



35-36. მლოცველები
Worshippers



37. ცომის გუნდების მოლოდინში
Waiting for dough balls

აფენდა (ამისთვის ცალკე ადამიანი იყო),
ორი გახურებულ ღუმელში აშრობდა მო-
რიგეობით და ერთიც გამომშრალებს
იღებდა ჯოხიდან. იყო ერთი სიფრიფანა
ცომების ფრიალი და სასიამოვნო სურნე-
ლი, მაგრამ არცერთი ნუთით არ იყო ქაოსი.
ამ დროს პრესვიტერი მატვეი ივანოვიჩიც
არ შემოსულა ოთახში, ხელი რომ არ შე-
ეშალა, არ დაერღვია ქალების თანამიმ-
დევრულ ქმედებათა ჯაჭვი, გასაკვირი
სიზუსტით რომ ებმოდა ერთმანეთს დრო-
შიც, ადგილშიც. თუმცა, იქამდე რამდენ-
ჯერმე კი დახედა სამზადისს, ჩამოჯდა,
ერთი-ორი შენიშვნა მისცა ქალებს, კარე-
ბიდან მოთვალთვალე ორ დამხმარესთან
ერთად იხუმრა კიდევ და გავიდა. ბოლოს-
კენ, როცა ყველა ერთად შეესია ატრიის
ჭრას, ერთხელ კიდევ შეამონმა საქმის

kneaded dough for noodles. Everything fol-
lowed its own predetermined order: who sat
where, what and when he was supposed to
do... It is true *tiotia*: auntie Galia and Nastia
were having a hard time kneading dough (due
to their age) but it was "their duty", they had to
fulfill it. Those who were supposed to roll out
the paste and sat around the table with rolling
pins lined up lengthwise in front of them did
not even offer to help. They were waiting for
their turn to get to work; that is why *tiotia*
Nadia who was a bit late did not ask anything:
as soon as she entered, she put on an apron and
silently took her place at the head of the table
with women with rolling pins. In a little while,
it was indeed their turn and the seemingly slow
process that started with kneading picked up,
grew stronger, had everyone around become

მსვლელობა, განკარგულება გასცა, ამასობაში სამოვარიც გაახურეთ, ჩაი დავლიოთო, და ისევ გავიდა. დაჭრილი ატრია ერთი დიდი ალუმინის თასი გამოვიდა, მოხარშვით არ მოუხარშავთ, მეორე დღისთვის შეინახეს. სამზადისიც ამით დამთავრდა. ნაჩქარევად დალიეს ჩაი და სახლებში გაეშურნენ, რუსული აბანოების გასახურებლად, აღდგომას ყველა სუფთა უნდა იყოს.

კვირას ლოცვები ადრინად დაიწყო. მაგიდასთან პრესვიტერი და მისი ორი დამხმარე დაჯდა. თეთრი წინსაფრებითა და თავსაფრებით მორთულმა მაგალობლებმა მაგიდის წინ დაიკავეს ადგილები ერთმანეთის პირისპირ. წესით, რაც უფრო შორს არის მლოცველი მაგიდიდან, მით უფრო მოკრძალებულია მისი ადგილი თემში.

carried away by his duty, and finally reached its highest: some rolled dough balls, some rolled out the paste, some spread it on long boards (there was a separate person assigned to do that), two took turns drying it up in a heated stove and one took dried-out dough off the board. Flying of dough and pleasant aroma reigned there; yet, not for even an instance was there a hint of chaos. Even Presbyter Matvei Ivanovich did not enter the room at that time so that he would not impede, break the chain of the consecutive actions of the women that succeeded one another in both time and place with amazing precision. However, before that he glanced at the preparation process once or twice, sat down, gave the women a couple of instructions. He even exchanged jokes with two helpers observing from the door and left.





თუმცა ახლა ვერცერთის სოციალურ სტატუსს ველარ განსაზღვრავ, მთავარი ადგილებიც არ არის შევსებული, არათუ გვერდითი სკამები, სადაც ჩვეულებრივ, შედარებით ახალგაზრდები სხდებოდნენ თურმე. ახლა ეს სკამები ერთმანეთზე დაპირქვავებულები, უკანა კედელთან იყო მიწყობილი. ლოცვები დიდხანს გაგრძელდა. პრესვიტერის მიერ დღესასწაულისთვის შესაფერისი ფსალმუნების წაკითხულ თითოეულ ფრაზას ქალები გალობით იმეორებდნენ. ერთი-ორჯერ ჩუმად შენიშვნაც გაბედეს, ჯერ ეს უნდა წაგეკითხაო, მაგრამ მქადაგებელი მხოლოდ ტონს თუ შეიცვლიდა და ხმას აუნევედა, ქალებიც ჩუმიდებოდნენ და გალობით პასუხობდნენ. სამზარეულოში ამ დროს კატია ლაფშას ხარშავდა ძროხის ხორცის ბულიონში, დეიდა მარია კი კომპოტს ამზადებდა. მთავარი ოთახიდან გამოსული, მოულოდნელად შევედი სწორედ იმ დროს, ჭიქა პირდაპირ ქვაბში რომ ჩაყო და ისე დააგემოვნა. ფოტოაპარატი ჩავაჩხაკუნე, შემამჩნია და გულიანად გაიცინა, მომატანეო?



ლოცვები რომ დამთავრდა, ერთბაშად წამოიშალნენ, სკამები გვერდზე გააცურეს და წრეში დადგნენ. მერე სათითაოდ მივიდნენ მაგიდასთან და ოთხადგაკეცილი თეთრი ნაჭრის ქვეშ შესანიერი დადეს, კიდევ ერთხელ სთხოვეს უფალს „სპასი გოსპოძი“-ო და გარეთ გავიდნენ. პრესვიტერმა ნაჭერი აიღო და ხურდები, ნახევარი მუჭა რომ გამოვიდა, ჯიბეში ჩაიყარა. მახსოვს, 2003 წელს შესანიროში ქალაქის ფული ჯერ კიდევ ბლომად ერია, რაც საგანგებოდ დაკეცა და სპეციალურ ჟურნალში შეინახა მაშინდელმა წინამძღოლმა ვასილ მარკუშინმა. პრესვიტერი სექტის სხვა წევრებთან ერთად თანაბარი უფლებებით სარგებლობს, არ გამოირჩევა არც

Cut noodles filled a large aluminum bowl; they did not boil it, they saved for the next day. That is when the preparation stage ended. They had tea in haste and left for their homes to heat up Russian baths because everyone has to be clean for Easter.

Prayers began early Sunday morning. The Presbyter and his two assistants sat at the table. The choir adorned with white aprons and headscarves took their places at the table facing one another. As a rule, the further a worshiper sits the more modest his status in the community. Today, however, it is impossible to determine one's social status, even the main seats are not occupied, let alone side seats where the relatively young are said to sit as a rule. Now, these chairs are placed upside down on top of

one another, leaned up against the back wall. The prayers lasted a long time. Each verse from the Psalms relevant to the festivity read by the Presbyter was repeated and chanted by the women. They even dared to correct him once or twice, "*You're supposed to read this first*"; but all that the preacher did was change the timbre or raise his voice, the women fell silent and replied with chanting. In the meantime, Katya was boiling noodles in beef bouillon, and Aunt Maria was preparing compote. As I left the main room, I suddenly entered exactly when she put a glass straight into the pot and tasted it. When I clicked my camera, she asked, "*You've caught me, haven't you?*"

When the prayers were over they all rose up at once, slid aside the chairs and made a circle.




41. „პრესვიტერის“ ზედამხედველობის ქვეშ
Under the caring eye of the "Presbyter"

ჩაცმულობით და არც ცხოვრების წესით. ნებისმიერ წევრს შეუძლია გახდეს თემის ხელმძღვანელი, თუმცა ზედმინევით უნდა იცოდეს ბიბლია და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდეს, სწორედ ასეთი იყო მშვიდი და დინჯი ვასილ ეფიმოვიჩი, რომლისადმი მორიდება და მოწინება ყველგან იგრძნობოდა. დღეს ის უსინათლოა და მიძიმედაა ავად. მატვეის ავტორიტეტზე კი რა მოგახსენოთ. ერთი კია, მისი ხუმრობები მკაცრი მოხუცების დატუქსვით ხშირად მთავრდება ხოლმე.

ლოცვების შემდეგ, თხუთმეტწუთიანი შესვენებისას, ორი მაგიდა გაიშალა, ერთი მთელი ოთახის სიგრძეზე, მეორე ნახევრად, და ყველა მათ გარშემო მოთავსდა. 2003 წელს კი, როცა რუსეთში გარდაცვლილი თანასოფლელის ორმოცს იხდიდნენ, ოთხი მაგიდა იდგა დიდ ოთახში და ორიც სამზარეულოსა და შემოსასვლელში. თვითონაც ასე ამბობდნენ, ეჰ, მაშინ ჯერ კიდევ ოცდახუთი სამოვრის ხალხი ვიყავითო. სამოვარს მათთვის დღემდე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც პრაქტიკულ ნივთსა და ტრადიციული ყოფის შემონახულ, განუყოფელ სიმბოლოს.

მაგიდეზე გადაფარებულ თეთრ სუფრებზე, ცისფერი კარადიდან გამოტანილი საერთო ჭურჭელი გაშალეს: ფაიფურის ჩაიდნები, თლილი ჭიქები პატარა თეთრი ლამბაქებით, მოხატული ხის კოვზები და ემალის ღრმა თეფშები, რომლებსაც გვერდზე, ზედ სუფრაზე დაჭრილი პასკები და „პეროგები“ დაუნყეს.

Then they approached the table one by one and placed donation under a quadruple-folded white piece of cloth, entreated the Lord once again, "Spasi Gospodi/ Lord, have mercy, and went outside. The Presbyter lifted the cloth and rolled half a handful of change into his pocket. I remember back in 2003 there were still plenty of paper bills among the donated money, which the then rector, Vasil Markushin folded elaborately and deposited in a special register. A presbyter exercises the same rights as other members of the sect; he is not distinguished for his clothes or way of life. Any member can become the leader of the community; however, he must possess perfect knowledge of the Bible and enjoy high authority; that is exactly the way calm and balanced Vasil Efimovich was: respect and deference for him could be felt everywhere. Today he is blind and gravely ill. As for Matvei Ivanovich's authority, the picture is different here. One thing I can say is that his jokes often turn into chiding of tough elderly men.



42. მომატანე?!
You've caught me, haven't you?





მაგიდის შუაში თევშები, საგულდაგულოდ გადანანილებული შაქრითა და კამფეტებით, ჩაამწკრივეს თანაბარი დაშორებით. ყველაფერი განსაზღვრული ეტიკეტით მიმდინარეობდა. სადილი გალობით დაიწყო, რალაც მომენტში მოთუხთუხე რვა სამოვარი შემოიტანეს და მაგიდეზე დადგეს, ისევ შესაბამისი ლოცვა წაიკითხეს, და მხოლოდ მისი დამთავრების შემდეგ ბრძანა პრესვიტერმა, დაესხათ ჩაი. ოღონდ ჯერ არ დალიეს, ისევ იგალობეს და ასე მიმდინარეობდა სადილი ლოცვიდან ლოცვამდე, პრესვიტერის შესაბამისი განკარგულებებით: დალიეთ ჩაი (ქალებიც ჭიქებიდან ლამბაქებზე ასხამდნენ და სვენებ-სვენებით ხვრეპდნენ-ესეც ერთგვარი წესია), ჩადგით ლაფშა, მიირთვით ლაფშა, დაასხით კომპოტი, დალიეთ. სადილს თვითონ ეძახიან თორემ ის, ჩვეულებრივ, რელიგიური რიტუალის ერთი შემადგენელი ნაწილია.

კომპოტის დალევით სადილიც დამთავრდა და აღდგომის დღესასწაულიც. საბოლოო გალობის შემდეგ ქალები გარეთ გავიდნენ (ერთი ორის გარდა, რომლებიც სუფრას ალაგებდნენ და სამოვრებში დარჩენილი ცხელი წყლით ჭურჭელს რეცხავდნენ) და ერთხანს გუნდად მიუყვებოდნენ ცენტრალურ გზას. მერე თითო-თითოდ გაეცალნენ, თავიანთი სახლებისკენ გადაუხვიეს. სამმა-ოთხმა ქალმა ცისფერი კოფტებით, ქათქათა წინსაფრებითა და თავსაფრებით, კიდევ კარგა ხანს გააგრძელა გზა დინჯად, ზოზინით. მერე ისინიც დაიფანტნენ. ამასობაში ჩემი აპარატურა ჩავალაგე მანქანაში და წამოვედი. სანამ რუსული სახლების რიგი დამთავრდებოდა, რამდენიმე ადგილზე გზისპირას გამოტანილ მაგიდას ჩავუარეთ. უმეტესობაზე ცელოფანგადაფარებული, თონეებში გა-

After a 15 minute break that followed the prayers, two tables were set up, one across the entire hall, the other half way across, and everyone seated himself around them. In 2003, when they were commemorating the fortieth day after their fellow villager's repose in Russia, there were four tables in the main hall and two in the kitchen and the narthex. They would comment themselves, *"Oh, we used to be numerous enough to require twenty-five samovars."* The *samovar* retains special importance to them to this day, as a practical item as well as a preserved and inseparable symbol of their traditional way of life.

On white tablecloths spread over the tables they set common utensils that they had taken out of the blue cupboard: china teapots, faceted glasses with tiny white saucers, painted wooden spoons and deep enamel bowls; next to them they placed paschal cakes sliced right on the table and *"perogi"* pies. Along the center of the table they lined up in equal distance plates with equal amounts of sugar and candy elaborately distributed on them. Everything proceeded in accordance with precise etiquette. The reception started with chants; at some point, they brought in eight boiling *samovars* and placed them on the table. Then they read appropriate prayers and only after their completion the Presbyterian order tea to be poured. Yet, they did not drink it right away, they chanted again first; that is how the dinner proceeded from prayer to prayer,





46. სანამ ჩაი ისევ ცხელია
While the tea is still hot

47. ულიანოვკელი ქალები
Women from Ulianovka



მომცხვარი პასკები ელაგა, რომლებსაც შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქართველი ქალები ყიდდნენ. მხოლოდ ერთი მაგიდა იყო, ორი საშუალო ხნის მოლოკანი ქალი რომ მიჯდომოდა. იქვე ძველებური ხის საკიდი ედგათ. მაგიდაზე გადაფარებულ რძისფერ სუფრაზე კი ფაიფურის თეფშები, ჩაიდანი და სამოვარი ეწყო. მაგიდის გვერდზე, სკამზე ძლივს ეტეოდა უზარმაზარი ფუმფულა ბალიში, ეტყობა, ბატის ბუმბულისა. მყიდველის მოლოდინში უიმედოდ გაჰყურებდნენ გზას იმ აღდგომა დღეს.

with the Presbyter giving commands, "*Have some tea* (the women poured tea on saucepans and sipped on it in intervals; that is some sort of tradition as well); *Taste noodles*; *Pour compote*; *drink it.*" They only call it a dinner; in reality, it is a constituent part of a religious ritual. Drinking of compote marked the end of the dinner and the paschal festivity. After the final chant, the women went outside (save a couple who cleaned the table and washed the utensils with remaining hot water from the *samovars*) and walked together down the main country road for a while. Then one by one they split headed toward their homes. Three or four women with blue knitted jackets, snow-white aprons and headscarves continued their path steadily and slowly for quite a while. Then they split, too. In the meantime, I loaded my equipment

in the car and left. Before rows of Russian houses ended, we passed by several tables brought out of the houses and put on the roadside. Most of them were served with paschal cakes baked in stove and covered with cellophane; young Georgian women dressed in black were selling them. There was only one table with two middle-aged Molokan women sitting at it. They had an old fashioned coat rack standing next to it; china plates, teapot and a *samovar* were served on the milk-white tablecloth. Next to the table, a huge puffy pillow barely fit on a chair; it must have been stuffed with goose down. The women looked down the road in hopeless wait for a customer that paschal day.

48. კომპოტიც ჩამორივდა, სუფრა დასასრულს მიუახლოვდა
The compote has been served, and the dinner is almost over

